საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

კვირა ივნისის 12 1921 წ

ფასი 200 მანეთი

# სოციალისტ-ფედერალისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 5000 მან. ცალი 200 მან.

საქ. გან. კომ. სახელოვნო განყოფილებასთან არსებული სალიტერატურო ქვეგანყოფილება, ქართველ ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქუჩა № 13) ჰმართავს მოხსენებას, სამშაბათს, ივნისის 14,
ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი
წაიკითხავს შემდეგ თემაზე:
„ქუჩის გეროლდი უოტ უიტმენი“
დასაწყისი საღ. 7 საათზე.

ევგენია ივანეს ასული და ნიკოლოზ გაბრიელის ძე ორჯონიკიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი და ძვირფასი დეიდაშვილის
თამარ (ელენე) ყანჩაველის
გარდაცვალებას, მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია დღეს დილის 9 საათზე (თუმანოვის შესახვევი № 3) დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე. 1121

მეუღლე ლეო რევაზის ძე ყანჩელი, მამა ალექსანდრე, დედა ბარბარე და ძმა გიორგი მუსხელიშვილები და მამამთილი რევაზი განუსაზღვრელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას მათი მეტად ძვირფასის და დაუვიწყარი
თამარ (ელენე) ყანჩელისას
მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია დღეს დილის 9 საათზე (თუმანოვის შესახვევი № 3) დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე. 1120

## კონფერენციის გარშემო

### ფურცლები

39.

**კონფერენციის შემდეგ.**

მეექვსე კონფერენცია გათავდა. რა მოგვცა, რა გვითხრა კონფერენციამ? რა გზა უჩვენა კონფერენციამ ხალხს, რა მიზანი დაუსახა, რა იმედის პერსპექტივა გადაუშალა?

კონფერენციამ გადასჭრა უპირველეს ყოვლისა თვით პარტიის საკითხი. ყველა დელეგატისათვის გამოირკვა, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, როგორც მტკიცე ორგანიზაცია, მომქმედი, წესდების ნიადაგზე აგებული—არ არსებობს, არის მხოლოდ იდეოლოგია, არის პარტიის ელემენტები, მაგრამ თვით პარტია, როგორც მკვეთრი ორგანიზაცია—არ არსებობს.

პარტიის ძველ ხელმძღვანელთ ორგანიზაციულ ბუტაფორიასთან ქონიათ საქმე, გარეგნული ეფექტები ფარავენ ორგანიზაციული ქაოსის შინაარსს და პარტიული მუშაობა მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა ხმებია საჭირო და ხმებისათვის კი არ ვინ დაგიდევსთ არც პარტიის კონსტიტუციას, არც ჩვეულებას, არც ტრადიციას, არც ეთიკას.

კონფერენციაზე მარტო ტფილისმა 37 დელეგატი წარმოგზავნა. მეტრის მიხედვით ეს ნიშნავს 7.400 პარტიის წევრს და ნამდვილად კი არჩევნებში პარტია ღებულობდა მთელს ტფილისში 3—4000-მდე ხმას. განა გაგონილა 7ათასიან პარტიას 3—4 ათასი ხმები არჩევნებში?—რასაკვირველია, არა.

არ აღმოჩნდა არც ერთს უბანში რეგისტრაცია წევრებისა, არავინ იცის სად რამდენია, ვინაა, რას აკეთებს, როგორ მოქმედობს. კონფერენციაზე დასწრების და ხმების სურვილმა იმდენად დააბრმავა ჩვენი პარტიის ძველი მუშაკნი, რომელთაც უმოქმედობამ სავსებით დასცეს და გაანადგურეს პარტია, რომ დელეგატების არჩევნები ხდებოდა მალულად, როგორც მაგ. მასწავლებელთა კრება, გზავნიდა სრულიად არ არსებული ორგანიზაცია, როგორც დასახელებული, ხოლო გზავნიდა ის ამორფული მასსაც, რომელსაც არც ერთს კონფერენციაზე მონაწილეობა არ მიუღია, დელეგატი არ ყოლია, ხოლო წესდების ძალით წარმომადგენლობის უფლებაც არ აქვს. ასეთი იყო სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომელთა მადამაც იქამდი მივიდა, რომ 5 დელეგატი გამოგზავნეს. ეს იყო შედეგი თავხედობისა ერთის მხრივ, ხოლო პარტიულ წესდების და ჩვეულების მასხარად აგდება მეორეს მხრივ. კონფერენციაზე გამორკვეულ და დამტკიცებულ იქმნა, რომ ერთი და იგივე პირი არჩევნებში იღებს მონაწილეობას, როგორც სტუდენტი, შემდეგ როგორც მოხელე, შემდეგ კიდევ როგორც უბნის მცხოვრები და კიდევ საგანგებოთ თუ იგი რაიმე პროფესიაშია. ასეთივე დარღვევა ხდებოდა წესდების ელემენტარული მოთხოვნილებისა პროვინციაშიაც, ამის მშვენიერი ილუსტრაციას იძლევა ქიათურის რაიონის წარმომადგენლობა, სადაც დელეგატები აურჩევიათ არა პირდაპირ სოფლის თუ ქალაქის ძირითად ორგანიზაციის საზოგადო კრებას, არამედ მხოლოდ ორგანიზაციის რწმუნებულთ. ამ მხრივ ქიათურის ერთ-ერთ დელეგატის მადა იქამდეც მივიდა, რომ ნამდვილი წარმომადგენელი ქიათურის რაიონის სოფლისა უკანონოდ აღიარა.

ჩვენ არ შეგვიძლიან არ აღვნუსხოთ, რომ არ ყოფილა შემთხვევაც კი მემარცხენეთ დელეგატების წარმოგზავნისა ჩვეულზე მეტი რიცხვით ან სადმე დაერღვიათ წესდება. მხოლოდ სამანდატო კომისიის დასკვნებისას გახდა ცხადად, თუ რისთვის და რად გვებრძოდნენ ძველი გიმგუმბის წევრნი რეგისტრაციის წინააღმდეგ, თურმე მათ დელეგატების არჩევის წესები თავისებურად და ძველებურად ქონდათ წარმოდგენილი.

კანონის და ყველა წესის დაცვით არჩეულმა დელეგატებმა, რიცხვით 52-მა, დავტოვეთ უკანონო კონფერენცია და დავიტოვეთ უფლება პარტიის აღდგენა—განვითარებისათვის მუშაობის გაძლიერებისა.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ სოც.-ფედ. პარტიას ესაჭიროება სრული გადახალისება, განახლება, იმ ქვეყნის ხალხის ისტორიისათვის გადაცემა, რომელთა ნაცადი სიბრძნე პარტიის საგალალო მდგომარეობაში ჩაგდებით გამოისახა. რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ 20 წლიანმა პარტიამ, რევოლიუციის მეოთხე წლის თავზე ისიც არ იცის თუ რამდენი წევრი ჰყავს მას, სად, ვინ არიან პროვინციის კომიტეტში და სხვა და სხვა?

სრული ქაოსი, სრული უპატრონობა, სრული ანარქია ყველაფერში. პარტიის გათახსირების ამ მოვლენას ჩვენ ბოლო უნდა მოუღოთ და პარტია იმ ოჯახს დავამსგავსოთ, სადაც ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი გარკვეული და ცნობილი.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დრ. მთავარი კომიტეტი შესძლებს პარტიის სათანადო დონეზე დაყენებას. მართალია, დრ. მთავარს კომიტეტში არ არის არც ერთი წევრი პარტიის ძველი მეთაურებისა, მაგრამ ეს ჩვენთვის ერთი მეტად საყურადღებო მოვლენაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში აღარავინ არის მცონარე ინტელიგენციიდან, არავინ არის უმოქმედო, უნიათო, პარტიის სათავეში ჩაყენებულია მხოლოდ მშრომელი, ენერგიული, გამოცდილი და მებრძოლი ძალები, რომელთაც ხელში უნდა მოხდეს და მოხდება კიდეც სიტყვებიდან საქმეზე გადასვლა, ლაპარაკებიდან ბრძოლის დაწყება და ბრძოლის განვითარება.

ეს დიდი გადატეხა, ესე იგი პატივმოყვარეობის ნიადაგზე მდგომი ხალხის პარტიის მეთაურობიდან გადაყენება, ცოცხალი ძალის ხელში პარტიის გადასვლა კანონიერს და ნამდვილს კონფერენციამდე, რომლის მოწვევა განზრახულია სრულის რეგისტრაციის დასრულებისას საქართველოში—აი დიდი შედეგი, რომელიც მოგვიტანა კონფერენციამ.

პარტია განაგრძობს დრ. მთავარს კომიტეტის პლატფორმით მუშაობას და პარტიის ყოველი წევრი, ვინც არ უნდა იყოს იგი, უნდა დაემორჩილოს ჩვენს ნაბიჯს, თუ მას სურს დარჩეს იმ დროშის ქვეშ, რომელსაც ეწოდება სოციალიზმი და ფედერალიზმი.

თედო ღლონტი.

## კონფერენციის სამზადისი

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის კონფერენციის დელეგატთა ერთმა ნაწილმა, დროებით მთავარ კომიტეტის გარშემო შემოკრებილმა, რიცხვით 52 კაცმა, იქონია-რა მსჯელობა კონფერენციის შესახებ, და მიიღო-რა მხედველობაში, რომ:

1) პარტიულ ორგანიზაციებს (გარდა ზოგიერთისა) არ ჰქონიათ პარტიულ წევრთა რეგისტრაცია;

2) რომ ტფილისის ორგანიზაციებმა ეს უწესოება უმწვერვალესობამდე ნათელ ჰყვეს 37 დელეგატის გამოგზავნით, რის შესახებ არა ერთხელ იქმნა განცხადებული და ოქმში შეტანილი;

3) რომ ერთი და იგივე წევრი რამდენიმე ჯერ და რამდენიმე ალაგას იღებდა არჩევნებში მონაწილეობას,

4) რომ მრავალ ალაგას დელეგატებს გზავნიდნენ არა საზოგადო კრების საშუალებით;

5) რომ დელეგატების განცხადება წესდების და ჩვეულების დარღვევის შესახებ უყურადღებოთ იქმნა დატოვებული, თუმცა არა ერთხელ შეტანილია ოქმში სათანადო განცხადება.

6) რომ ყველა ამის გამო კონფერენციის მრავალმა წევრმა უმთავრეს საკითხის გადაწყვეტისას კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო, სცნობს კონფერენციას უკანონოდ და ავალებს დრ. მთავარ კომიტეტს, რომელიც მუდამ მოითხოვდა კონფერენციის რეგისტრაციით და წესიერების გზით მოწვევას, შეუდგეს საკონფერენციო სამზადისს, მოახდინოს პარტიის წევრთა სრული რეგისტრაცია საქართველოში და მოიწვიოს კანონიერი კონფერენცია.

## პარტიის მთავარი ხელმძღვანელი ორგანო

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის მეექვსე კონფერენციის დელეგატები, რიცხვით 52 ამტკიცებს არსებულ დრ. მთავარი კომიტეტის შემადგენლობას, არჩეულს ტფილისში 30 მარტს მთავარ კომიტეტის და ტფ. ორგანიზაციების შეერთებულ კრებაზე, ადასტურებს მთავარ კომიტეტის დაშლას და სცნობს ცენტრალურ ორგანოდ გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტს“.

## მომენტი და ტაქტიკა

საქ. სოც. ფედ. სარ. პარტიის მეექვსე კონფერენციის 52 დელეგატმა მოისმინა რა დრ. მთ. კომიტეტის მოხსენება მომენტსა და მოქმედებაზე, ამტკიცებს 30 მარტს ტფილისში მთავარ კომიტეტის და ტფილისის ორგანიზაციების შეერთებულ კრებაზე მიღებულ პლატფორმას, რეზოლიუციას, იწონებს დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედებას და ავალებს მას მიღებულ მიმართულებით მტკიცე მუშაობას.

## დისციპლინა

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის მეექვსე კონფ. 52 დელეგატებმა მოისმინეს მოხსენება დისციპლინის შესახებ, ადგენს: ავალებს დრ. მთავარ კომიტეტს დაიცვას სასტიკი დისციპლინა პარტიაში და კატეგორიული ნაბიჯები გადადგას პარტიის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, მათ პარტიიდან გაძევებამდე.

## ახალი ძალებით

ჩვენი პარტიის მეექვსე კონფერენცია დაიშალა. დიდი იმედები, რომელიც იყო მასზე დამყარებული, ვერ გამართლდნენ. მწვავე საკითხებს, რომელნიც დაჰკმულ ყურადღებას და ღრმა აზროვნებას მოითხოვდნენ, მხოლოდ ამღვრეული განცდები დარჩათ პასუხად. ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ ამ ფაქტს ანელებს ის გარემოება, რომ ეს კონფერენცია არ შეიძლება ჩაითვალოს პარტიის აზროვნების ნამდვილ გამოხატულებად. აქ, პარტიის ნამდვილ წარმომადგენლობის მაგიერ, თავი მოიყარეს ისეთმა წარმომადგენლებმა, რომელთაც ზურგი არ ჰქონდათ გამაგრებული კანონიერ მანდატით. არჩევნები არ ყოფილა წარმოებული რეგისტრაციის მიხედვით რადგან თვით ეს რეგისტრაცია ორგანიზაციათა დიდ ნაწილს არ ჰქონია სრულიად. ამის გარდა კონფერენციაზე სამანდატო კომისიის შუამდგომლობით და ხმის „უმრავლესობით“ უფლებით აღჭურვეს ისეთი „ორგანიზაციების“ „დელეგატები“, რომელნიც ჩვენ არ გვქონია არასოდეს, და „შეიქმნენ“ მხოლოდ ამ კონფერენციისათვის მხოლოდ ტფილისი რომ ავიღოთ, აქაც კი დამტკიცდა არჩევნების ზედ მეტი ანორმალობა. 37 დელეგატი იმ დროს, როდესაც ამის მეოთხედიც კი მაქსიმუმად უნდა ჩაითვალოს. და რასაკვირველია ამ გვარი შემადგენლობის კონფერენცია ვერ ჩაითვლება პარტიის ფიქრის გამომსახველად, და ეს იყო მიზეზი, რომ „უმცირესობამ“ დასტოვა დარბაზი, და თავისუფალ მოქმედების უფლება დაიტოვა. ეს იყო ერთად ერთი გამოსავალი. ეს წამოსვლა პარტიის გაყოფად წარმოიდგინეს ზოგი-ერთებმა. ამგვარად ჩვენ იმათ გასაგონად ვაცხადებთ, რომ ჩვენ არც მსოფლ-მხედველობა შეგვიცვლია, და არც წავსულვართ პარტიიდან. ჩვენ წავედით იმ ამხანაგთა ყოფილობიდან, სადაც იყო დაწვრილმანება, ზნეობრივი კავშირის შესუსტება, ნიშნის მოგება და გრძნობათა ქირვეულობა. ჩვენ წავედით იმ კრებიდან, სადაც არ სურდათ გაეგოთ ჩვენი აზრი, ჩვენი ქვეყნის ინტერესები, სადაც წინასწარ—გადაწყვეტილებით სცდილობდნენ ჩვენს დაქსაქსვას, დაუძლურებას და სადაც ამ მიზნის მისაღწევად თავი მოიყარეს უკანონო წარმომადგენლებმა. ჩვენ წამოვედით, და თან წამოვიღეთ ის დროშა, რომლის ქვეშაც გავიზარდეთ, თან წამოვიღეთ ის პროგრამა, რომელიც ისტორიას გადავიმზადეთ, თან წამოვიღეთ არჩ. ჯორჯაძის სახელი, და ამ მემკვიდრეობას, რასაკვირველია, ასე ადვილად არც დავთმობდით. წამოვედით და კვლავ დავრჩით იმავ გზაზე, იმ რწმენით, რომ ჩვენ ხაზად გზიდან არ გადაგვიხვევია. წამოვედით იმ გადაწყვეტილებით, რომ მექანიკურ გარემოებით დაქსაქსულ პარტიულ ამხანაგებს კვლავ შევკრებთ, დაყუჩებულ ორგანიზაციებს კვლავ განვაახლებთ, შეუფერებელ ელემენტებს ჩამოვაშორებთ, და გამარჯვების სვეტამდე მივიტანთ ჩვენი პარტიის სახელს. ამისი გარანტია ჩვენი ჯგუფის შემადგენლობაშია. პარტიის ძირითადი ნაწილი, მუშათა და ახალგაზრდობის უმრავლესობა ჩვენთანაა, და ამ ხალხით თუ ვერ შეცდომას ჩავიდენთ, ვერც საქმესაც გავაკეთებთ, და ჩვენს ზურგზე აღმოვაჩენთ იმ „კრიზისს“, რომელსაც ვერ ჩვენი მოწინააღმდეგე ასე სიხარულით შეეგებნენ. იცოდეს ყველამ, რომ ჩვენი პარტია თუ დღეს ტკივილებს განიცდის, ეს განკურნების თავდებია, რადგან ჩვენი ახალგაზრდა სხეული მედგრად შეებრძოლება დამშლელ ელემენტებს. ეს გვჯერა, ეს გვწამს, და ამ რწმენით კვლავ მივდივართ წინ ჩვენი პარტიის საიმედო ალამით.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

# კონფერენციისათვის

(წერილი ლანჩხუთიდან)

1 ივნისს ლანჩხუთში უნდა შემდგარიყო საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის რაიონული კრება, რომელიც აირჩევდა კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებს, მაგრამ კომიტეტის მცონარეობით და სიზარმაცით (შეიძლება ფაქტიკური მოსაზრებით) კრებას დაესწრო დიდი უმცირესობა. ეს კრება იყო მოწვეული მესამედ, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. ვანო ჩიმაკაძის თავმჯდომარეობით შეუდექით არჩევნებს. საარჩევნო მეტრის მიხედვით უნდა არჩეულიყო ერთი დელეგატი, მაგრამ ვინაიდან არსებობს ორი გვარი მიმართულება ამხანაგებს სურდათ ორი დელეგატის არჩევა რაიც მიიღო კრებამ. უნდა არჩეულიყო ორივე მიმართულებიდან თითო თითო. დასახელებულ იქმნა ნ. ქეიშვილი გ. იმნაძე და ვ. ჩიმაკაძე. გ. იმნაძის კენჭის ყრის შემდეგ ჯერი მიდგა ამხ. ნ. ქეიშვილზე, მაგრამ თავმჯდომარემ კრება მიატოვა... ასეთი მოვლენის შემდეგ, რა თქმა უნდა. კრების მთელი ნამუშევარი უკანონო იყო, მაგრამ კომიტეტის წევრებმა თავიანთი ნებით, ინტიმიურად უხვად გასცეს მანდატები... მეორე დღესვე მოგროვდნენ ამხანაგები და იმსჯელეს იმაზე, თუ რამდენად კანონიერია წინანდელი კრების მიერ არჩეული გ. იმნაძე. ამხანაგებმა დაამტკიცეს, რომ გ. იმნაძე არ არის კანონიერი არჩეული, მაგრამ ვინაიდან გამოირკვა კიდევ სხვა მანდატის გაცემა დავთანხმდით—დარჩენილიყო გ. იმნაძე დელეგატად არჩეული (ის უკვე წასული იყო) მხოლოდ გამოტანილიყო რეზოლიუცია სხვა მანდატის გაუქმების შესახებ—რეზოლიუცია გამოტანილ იქმნა რაიც გაიგზავნა დეპეშით იმავე დღეს... ტფილისი კონფერენციას, ასლი ამხ. ნუცუბიძეს: ლანჩუთის რაიონიდან არჩეულია გ. იმნაძე სხვა დელეგატი ყალბია. ხელს აწერს კომიტეტის ძლივანი. ასეთი სიყალბე არ უნდა ეპატიოს ლანჩხუთის კომიტეტს.

ძველი სოციალისტი

# ახალი ამბები

— **საბჭოთა საქართველოში.** ზუგდიდში გაჩენილ ცეცხლისაგან დაზარალებულთა დახმარების აღმოსაჩენად აირჩეულია კომისია შემდეგი შემადგენლობით: რევკომის წევრი ამხ. სადირაძე, ამხ. თოლორდავა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამგე ამხ. ჩიჩუა.

სახალხო მეურნეობის საბჭომ განკარგულება გასცა დამატებითი ტელეფონის ქსელის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენისა, მთელი მაზრის ტელეფონით დაკავშირების მიზნით.

სახალხო მეურნეობის ადგილობრივი საბჭო შეუდგა ელექტრონის სადგურის მოწყობას.

— **სალიტერატურო სააგიტაციო საღამოები.** გრუზკავროსტას თეატრალურმა კომისიამ დაარსა სალიტერატურო სარეპერტუარო ქვე კომისია, რომელსაც მიანდო სასწრაფოთ შეიმუშავოს სისტემატიური სალიტერატურო საგიტაციო საღამოების გეგმა. კარგად შერჩეული სალიტერატურო მოხსენებებით, პოეტურ ნაწარმოებით და საკონცერტო ნომრებით. განზრახულია მთელი ციკლი საღამოებისა, რომელთაც უძღვნიან რევოლიუციონურ პოეტებს და გამოჩენილ მოღვაწეებს მხატვრულ ლიტერატურის და მუსიკის დარგში.

— **ახალი თეატრი „ნოტე".** ტფილისში იხსნება ახალი საზაფხულო თეატრი „ნოტე"-ს სახელით. აქტიორთა კოლექტივი დაარსდა. განზრახულია რეპერტუარი უმთავრესად მოსკოვის თეატრების პოპულიარულ პიესებიდან შეადგინონ. აზრად აქვთ დადგან; „მადამ ასგოს", „პავლე 1", „პიქა წყალი", „წარლენა" და სხვა. წმინდა დრამატიულ წარმოდგენათა გარდა ფიქრობენ მუსიკალური კომედიებიც დადგან. კოლექტივს მეთაურობს სამხატვრო კომისია ამხ. მასკის, კრესტოვსკის, დიევსკის და აფანასიევის შემადგენლობით. წრეში შევიდნენ ამხ. პოკროვსკი, ჩარსკი, ნიროვი, დიევსკი და სხვა. თეატრი ივნისის 15 გაიხსნება.

— **განათლების სახალხო კომისარიატში.** როგორც ცენტრში აგრეთვე ადგილობრივი, სახალხო განათლების ერთ საორგანიზაციო გეგმის სახალხო ცხოვრებაში გასატარებლად სახალხო განათლების კომისარიატის ხელმძღვანელ ორგანოების წინადადებით დაარსებულია სახალხო განათლების კომისარიატის საორგანიზაციო სამმართველო. სამმართველოს შემადგენლობაში შედიან ა) საინსტრუქტორო განყოფილება ბ) საინფორმაციო განყოფილება, გ) სტატისტიკური განყოფილება, დ) ყრილობის კურსების და კონფერენციების განყოფილება, ე) სახალხო განათლების გამოფენის ბიურო, ვ) ბეჭდითი ბიურო. განათლების სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო სამართველოს სათავეში ჩადგება ამხ. კრესტოვსკი.

— **ახალი ტურბინების დადგმა.** თითქმის დამთავრებულია ქ. ონის გიდროელექტრო სადგურის ტურბინის დადგმის მუშაობა, რომელიც განზრახულია ქალაქის გასანათებლად და ხე-ტყის სახერხავის ასამუშავებლად. იდგმება ორი ტურბინი 50 ძალისა. არხი მოწყობილია ტურბინისათვის. მაგრამ ადგილობრივ პირობათა მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სიძლიერე მოსალოდნელია გადიდებულ იქნას თითქმის უსაზღვროდ.

სწარმოებს ქ. ქუთაისის სადგურის ასაშენებელი წინასწარი მუშაობა, რომელიც მისცემს ენერგიას ყოფილ ქარხ. „ეორე ფაბრიკა"-ს და კერძო განათებისათვის. იდგმება ორი ტურბინა 60 ძალისა. თითო არხზე, რომლის სიგრძეც უდრის 250 საჟენს.

სწარმოებს მუშაობა ხონის სადგურის ასამუშავებლად. პირველ რიგში დაიდგმება ტურბინა 100 ძალისა და შემდეგ მეორე ტურბინის დადგმით განზრახულია პირველის 200 ძალამდე გაძლიერება. ადგილობრივი პირობები ხელს უწყობენ სიძლიერის უსაზღვრო გაძლიერებას.

— **ქარხნების მოწყობა.** ბიუროს მიზანს შეადგენს აგრეთვე ქარხნების მოწყობა, რისთვისაც თანდათან მუშავდება პროექტები, იკრებს ტეხნიკურ მოწყობილებათა ნაკლებანებანი, სწარმოებს გეგმის სწორი დამუშავება, და თვალყურის დევნება გეგმის საჭირო ნაწილების წესიერად შესრულებისთვის. შემუშავება ნომენკლატურის, შესაკრეფი მუშაობა. აგრეთვე მუშავდება საკითხი მეტრიულ სისტემის პრაქტიკულად გატარების შესახებ.

— **ქალაქის რევკომში.** ქალაქის რევკომის სხდომაზე ამხ. ნასარიძეს მოხსენებაზე ცეცხლის მქრობელ რაზმის მდგომარეობის შესახებ დადგენილია; წინადადება მიეცეს კომუნალურ განყოფილებას, რათა ცეცხლის მქრობელი რაზმი და მისი ინვენტარი (ბოჩკები) მოხმარებულ იქმნეს მხოლოდ ხანძრის ჩასაქრობად და ამ პირდაპირ მოვალეობის გარდა ნუ დაეკისრება რაზმს სხვა რამე დავალებანი. აგრეთვე გადაწყვეტილია ცეცხლის მქრობელ რაზმის მუშებს მიეცეს წითელ-არმიელის ულუფები და რიგს გარეშე ფულით იქმნენ დაკმაყოფილებულნი.

— **ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის გაერთიანება.** ფართე ეკონომიურ წრეებში ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მოქმედების გაერთიანებას შეხვდნენ დიდის თანაგრძნობით. ეს გაერთიანების საკითხი აღძრული იყო ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკათა მთავრობების თაოსნობით, რომელთა წარმომადგენლები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შემსყიდველ აპარატის გაერთიანება მოგვცემს საშუალებას უფრო მიზანშეწონილად გამოვიდეთ უცხო ბაზარზე, ვინაიდან ამ გვარად მოისპობა ცალკე შემსყიდველ აპარატების კონკურენცია; ამის გარდა ბოიდება რესპუბლიკებისათვის შესასყიდათ საჭირო საშუალებათა ე. ი. სავალიუტო საქონლის გაერთიანება, რაიც კეთილ მყოფელ გავლენას მოახდენს რესპუბლიკების ეკონომიურ მდგომარეობაზე. წინასწარი მუშაობა იმ ერთიან სამმართველოს საორგანიზაციოთ, რომელიც იქნება ტფილისში ნაწილობრივ უკვე დაწყებულია და ამ უახლოეს დღეებში სამმართველო დაიწყებს მოქმედებას.

— **წარმოებათა მიმართვები.** სახ. მეურ. უმ. საბჭომ ყველა საწარმოო განყოფილებებს დაუგზავნა ბარათები. ეს ბარათები მათს განკარგულებაში მყოფ ყველა წარმოებებში უნდა იქნას სასწრაფოთ დაგზავნილი ცნობების შესავსებათ და უკანვე უნდა იქნას დაბრუნებული. ივნისის 8-დან საქონლის მოწოდება შეუწყდება ყველა იმ დაწესებულებას, საიდანაც საჭირო ცნობები არ იქნება წარმოდგენილი.

— **საფეიქრო ფაბრიკა.** სახ. მეურ. უმ. საბჭომ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ აამუშაოს კუზნიროს საფეიქრო ფაბრიკა.

— **ხე-ტყის ქარხანა.** სახ. მეურ. უმ. საბ. წინადადება მისცა სატყეო კომიტეტს, რათა მან დაჩქარებით გამოარკვიოს, თუ რამდენად შესაძლებელია ოზურგეთში ხე-ტყის ქარხნის მოწყობა და თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ის მოაწყოს და გადასცეს ადგილობრივ სამაზრო რევკომს.

— **სამაზრო რევკომებთან კონტაქტი.** სახ. მეურ. უმ. საბჭომ წინადადება მისცა დისტანციის უფროს, რათა მან ოზურგეთის გზის შეკეთების საქმე აწარმოოს სამაზრო რევკომთან შეთანხმებით და აღმოუჩინოს უკანასკნელს ყოველი დახმარება.

— **რევკომის საქმიანობის ხელშეწყობა.** სახ. მეურ. უმ. საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა განყოფილებებს, რათა მათ შეძლებისადაგვარათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ოზურგეთის რევკომის მიერ მრეწველობის და გამშვენიერების დარგში დაწყებულ საქმეს. თანახმათ იმ წარმოებებში პროგრამისა და ხარჯთ-აღრიცხვისა როგორათაც წარმოდგენილია ხსენებულ რევკომის მიერ.

**ეკონომიური ცხოვრება.** ტყავეულობის ქარხნების გამოკვლევა. უმაღლეს სახ. სამ. საბჭოს ტყავეულობის განყოფილების თანამშრომელი ამხ. ჯაფარიძე მივლინებულია პროვინციაში არსებულ ტყავეულობის ქარხნების მდგომარეობის გამოსაკვლევათ. თანახმათ იმ მასალებისა, რასაც ამხ. ჯაფარიძე დააგროვებს გამოკვლევის დროს, მან უნდა შეადგინოს დაწვრილებითი სამეურნეო გეგმა და წარუდგინოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

— **ცეცხლ-მძლე თიხა.** რომ შემონახულ იქნეს ფარგალში ცეცხლ-მძლე თიხის ძობარაგება, რაზედაც ადგილობრივ დიდი მოთხოვნილებაა, სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარე სთხოვდა სატრანსპორტო-მატერიალურ განყოფილებას, რომ ამ უკანასკნელმა მოახდინოს სათანადო განკარგულება მის აგენტების კიბართ, რათა მათ საქართველოს საზღვრებიდან ახალი მასალის გაზიდვის ასაცილებლად, არავის გაატანონ თიხა საზღვარ გარედ და მოძრაგების საბოს ხე მ ადგუროთველათ.

# საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

კვირას, 12 საათზე, გაზ. „სოც-ფედერალისტის" რედაქციაში დანიშნულია დრ. მთავარ კომიტეტის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

# რადიო

**მუშათა მოძრაობა ავსტრალიაში.**

**ბერლინი.** ბაზრის უქონლობის გამო ავსტრალიაში მრეწველობა მეტათ შეფერხებულია. ავსტრალიის იმ ნაწილში, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 5 მილიონსაც არ აღემატება, 70,000 უმუშევარია, მარტო მარტო სამხრეთ ვალესში 40,000 უმუშევარია. უმუშევრობა, შიმშილობა და საერთო გასაჭირი ჰქმნის საუკეთესო ნიადაგს ავსტრალიის პროლეტარიატს შორის კომუნიზმის გასავრცელებლად და გასაძლიერებლათ. კომუნისტური გავლენა სწრაფი ნაბიჯით იზრდება. ყველა ცალცალკე ჯგუფები, რაც კი არსებობდა, დღეს გაერთიანდნენ ავსტრალიის ერთს მთლიან კომუნისტურ პარტიაში. კომუნისტების გავლენა განსაკუთრებით დიდია სამთო-მადნო, საზღვაო და მელითონე მუშებს შორის. ავსტრალიის გემთა მეპატრონეებმა ლოკაუტი გამოაცხადეს და უარი სთქვეს მუშების მოთხოვნილების ასრულებაზე, რომელიც საზღვაო კომპანიებზე მუშათა კონტროლის შემოღებას შეეხებოდა. ამ უკანასკნელს ხანებში მეტად გახშირდა უმუშევართა დემონსტრაცია, რაც ხშირად პოლიციასთან იარაღით შეტაკებით თავდება.

**შეტაკება ზემო სილეზიაში.**

**ლიონი,** ივნისის 6. გაზ. „ტან"-ი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ნდობით მოვეპყროთ გერმანიის ცნობებს ზემო-სილეზიის მდგომარეობის შესახებ და ვილაპარაკოთ სისხლისმღვრელ—შეტაკებებზე მოკავშირე ჯარებსა და მცხოვრებთ შორის.

**კომუნისტთა პროცესი.**

**მოსკოვი.** მაისის 22. კომუნისტთა პროცესი ვარშავაში 33 ბრალდებულის გამართლებით დამთავრდა. კომუნისტური იდეის გავრცელებისათვის 3 წლის ციხე მიესაჯეს მხოლოდ ერთს ბრალდებულს ესტონელ იან კინტს.

## ინდოეთში

**ომი ინგლისელების წინააღმდეგ.**

**ლონდონი.** გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" იუწყება, რომ ინდოეთის საზღვრებზე უწესოება ხდება. ინდოეთის ნაციონალისტმა აბდულ რაზამ გამოაცხადა ბაზირისტანის დამოუკიდებლობა, გამოდევნა იქიდან ინგლისელები და ფორმალურად მათ ომი გამოუცხადა.

## საბჭოთა რუსეთში

**ავტონომიურ რესპუბლიკათა აღწერა.**

**მოსკოვი,** მაისის 22 სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. ვლადიმირსკის მოხსენება და მუშაობის გეგმა ავტონომიურ რესპუბლიკათა აღწერის შესახებ. ამ გეგმის მიხედვით ყოველი ცალკე მიმოხილვა უნდა შეიცავდეს ყოველ რესპუბლიკის ეროვნულ და სოციალურ განვითარების ისტორიულ მიმოხილვას, პოლიტიკურსა და ეკონომიურ გეოგრაფიას, მცხოვრებთა სტატისტიკას, პროფესიონალურ მოძრაობას, კულტურულ განმანათლებელ მუშაობას და სოციალურ უზრუნველყოფას. წიგნაკში მოთავსებული იქნება სათანადო კარტოგრამები და დიაგრამები.

# სია ქართველი ტყვეებისა*)

ამ ჟამად ქ. რიაზანში სამხედრო ტყვეთა სამუშაო როტაში იმყოფებიან შემდეგი ქართველი სამხედრო პირები.

მამაცაშვილი ბიქტორ, ქავთარაძე სპირიდონ, თავაძე გიორგი, ცაგარელი ვლადიმერ, იშხნელი კონსტანტინე, ყურაშვილი სტეფანე, მაჭავარიანი დავით, გოდერძიშვილი დიმიტრი, ხრისტოვი სილოვანი, მირიანაშვილი მიხეილ, ქელიშვილი პოლიკარპე, ანთაძე გიორგი, ასხაბაძე გიორგი, ჩაგუნდა (ან ჩაგულია) კონსტანტინე (გაურკვევლად სწერია), მძინარიშვილი პავლე, შენგელია აკ. კუშიშვილი გიორგი, ავალიშვილი კონსტანტინე, ავალიშვილი ირაკლი, აბაზაძე მიხეილ, სურველაძე იოსებ, ანტელ ალფრედ, ახმეტელაშვილი სიმონ, კოპელეიშვილი სიმონ გემნატსკი (გაურკვევლად სწერია) ვასო, მონოვი სტეფანე, ლორთქიფანიძე სერგო, დოლობერიძე პეტრე, გორგოლიანი ილია, მამაციშვილი პ. (სახელი ვერ გავარჩიეთ) ბაბილუა პ. (ესეც გაურკვეველია) ანალიშვილი ილია. აგრეთვე იმყოფებიან რამდენიმე ოფიცერი და ჯარის-კაცები ივანოვ-ვოზნესენსკში და ბუტირკაში. გვარები ვერ გავიგეთ.

*) საგანგებო ზომის მიღება საჭიროა. ამაზე მორიგ ნომერში. რედ.

**ქართველი ტყვეები რუსეთში.**

ამ უკანასკნელ ომის დროს ტყვედ წაყვანილი და ზოგიც შემდეგ დატყვევებული სამხედრო პირები, ამ ჟამად გადასახლებულნი [illegible] არიან იძულებით სამუშაოზე, [illegible] სალ რიაზანში, [illegible] ვოზნესენსკში. აჯანყების ნიადაგზე ბევრ რუსეთის ქალაქებში ჯგუფებით სამუშაოზე იყვნენ გაყვანილნი სომხეთიდანაც, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ისინი ამ მოვალეობიდან განთავისუფლეს, და განზრახულია მალე სამშობლოში დაბრუნების ნება მისცენ.

ქართველი ტყვეები, ოფიცრობა და ჯარის-კაცები არ შეიძლება იყვნენ ტყვეობაში, როგორც აჯანყებებში მონაწილენი. სამხედრო მოქმედებებში, და იმ ბრძოლაში, რომელიც ქართველმა ხალხმა გადაიხადა ამ რამოდენიმე თვეების წინად, ყველა ჩვენთაგანი ვლებულობდით მონაწილეობას და თუ ფრონტზე ვინმე არ გასულა, ის ყოველ შემთხვევაში სულით და გულით იქ იყო, მაშასადამე თუ ჩვენ ამ მხრივ მივუდგებით ამ კითხვას, და გადასახლების „პრინციპი" ყველა ამ გვარ დამნაშავეზე გავრცელდება, ეჭვს გარეშეა, ქართველი გადასახლებულები ვერც ერთ რუსეთის თუ გინდ უდიდეს გუბერნიაშიც ვერ მოთავსდება. მაშ რაშია საქმე? ერთნაირი დანაშაული და დაუსჯელ-დასჯილები სოციალისტურ ქვეყანაში ხომ დაუშვებელია!..

როგორც გადმოგვცა მოსკოვის ქართველობის კომიტეტის წევრმა ქართველი ტყვეების მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია... აწ უკვე განსვენებული გენ. ახმეტელაშვილი ჩვენს იქ ყოფნის დროს სხვა ამხანაგებთან ერთად განიცდიდა საშინელ გაჭირვებას. ამ გარემოებას აქცევს ყურადღებას თვით გაჭირვებაში მყოფი მოსკოვის ქართველობა, და სცდილობს მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს მათ, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია. საჭიროა რევკომმა და ქართველმა საზოგადოებამ მიიღოს სასწრაფოდ საჭირო ზომები, რომ ქართველი ტყვეები დაბრუნებულ იქმნან სამშობლოში, და მით სიკვდილს და სიმშილს ხელიდან გამოსტაცონ მრავალი ახალგაზრდა სიცოცხლენი, რომელიც ჩვენი ერის მშრომელთა ინტერესებისათვის არც ისე უმნიშვნელოა.

მ. ტუღუში.

P. S. სხვა „დანაშული" ქართველი ტყვეებისა, გარდა იმისა, რაც ზემოდ არის ნახსენები ჩვენ არ ვიცით. თუ არის საჭიროა ფართე საზოგადოებამ იცნობოს. მ. ტ.

რედაქტორი თედო ღლონტი.

გამომცემი ფედ. მთავარი კომიტეტისა.


**დაიკარგა** სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული პირადობის მოწმობა და უნივერსიტეტში შესავალი ბილეთი ალექსი სოფრომის ძე ბურჭულაძის სახელზე, რაც ჩაითვალოს გაუქმებულად. 1029

**დაიკარგა** პასპორტი, მეტყევეთა კავშირის წიგნაკი და ქარხნის მოწმობა აბიტ-გაჯიისმაილ-ოღლის სახელობაზე, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 1027

**დაიკარგა** ქართულ უნივერსიტეტის მოწმობა, მეტრიკული ამონაწერის ასლი, წითელ არმიიდან განთავისუფლების მოწმობა გრიგოლ ვასილისძე მათიაშვილის სახელობაზე რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1028

ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე

**ამზადებს**

საზაფხულო განმეორებითი გამოცდებზე:

მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.

მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 3—6 ს. 1081